



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს შორის



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი

28. მარტი 2013 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლო (შემდგომში - უზენაესი სასამართლო) - წარმოდგენილი თავმჯდომარის - კონსტანტინე კუბლაშვილის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში "სასწავლო უნივერსიტეტი") წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, სრული პროფესორის მერაბ ბერიძის სახით ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისა და განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ უზენაეს სასამართლოსთან ურთიერთობის გზით პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.

2. მემორანდუმის მიზანი

- 2.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია კვალიფიციური იურიდიული განათლების განვითარების ხელშეწყობა.
- 2.2 ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი კვლევების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 უზენაესი სასამართლო კისრულობს ვალდებულებას:

- 3.1.1 სტაჟირების გამოცხადების შემთხვევაში შეატყობინოს აღნიშნული უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
- 3.1.2 გასაუბრების შედეგად შერჩეული სტუდენტები უზრუნველყოს სტაჟირების გავლისთვის აუცილებელი სათანადო პირობებით.
- 3.1.3 სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების დაწყებამდე გააცნოს სტუდენტებს მუშაობის პრინციპები, სტაჟირების კურსის შინაარსი.
- 3.1.4 სტუდენტის მიერ სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში გასცეს სერთიფიკატი.
- 3.1.5 მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს სპეციალური კურსი სასამართლო ხელისუფლების შესახებ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.
- 3.1.6 მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის უზენაესი სასამართლოს შენობაში გაცნობითი ხასიათის ექსკურსია.
- 3.1.7 წელიწადში ერთხელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად დაგეგმოს და ორგანიზება გაუწიოს სტუდენტებისთვის სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას.
- 3.1.8 უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმოს სხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას.

3.2 უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას:

- 3.2.1 ხელი შეუწყოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცხადებულ სტაჟირების პროგრამაში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების მონაწილეობას.
- 3.2.2 უზენაეს სასამართლოსთან ერთად დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სტუდენტებისთვის სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისთვის აუცილებელ სხვადასხვა საორგანიზაციო ღონისძიებებში.
- 3.2.3 ხელი შეუწყოს უზენაესი სასამართლოს შენობაში გაცნობითი ხასიათის ექსკურსიას სტუდენტებისთვის.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

- 4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;
- 4.1. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

*(Handwritten signature)*

მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს უზენაესი სასამართლო



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი